ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7658011

ნომერი: AR11111084

თარიღი : 30.09.2025

გაცემის თარიღი : 09.10.2025

გაცნობის თარიღი : 09.10.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიდი ლილო; ქალაქი თბილისი, სოფელი დიდი ლილო;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა ბასილაძე პ/ნ 41001006464
- ბულაჩაურის ქუჩა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 29 სექტემბრის №7645363 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 30 სექტემბრის №AR11111084 განცხადებით მომართა ზაზა ბასილაძემ და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 29

სექტემბრის №7645363 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 29 სექტემბრის №7645363 ბრძანებით №01.81.08.339.007 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა საწყობების (N1 და N2 შენობა) და სამაცივრე საწყობის (შენობა N3) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 29 სექტემბრის №7645363 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, კერძოდ გამორჩენილია საპროექტო შენობების ფუნქციად სამაცივრე საწყობის მითითება. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ 2025 წლის 1 სექტემბერს №AR11106672 განცხადებით სამსახურს მომართა ზაზა ბასილაძემ და მოითხოვა №01.81.08.339.007 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე საწყობების (N1 და N2 შენობა) და სამაცივრე საწყობის (შენობა N3) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ იქნა საპროექტო დოკუმენტაცია (მათ შორის, გენ-გეგმა, გეგმები), სადაც სამაცივრე საწყობად მითითებულია მხოლოდ N3 შენობა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში. რაც შეეხება, N1 და N2 შენობებზე სამაცივრე საწყობის მითითებას, აღნიშნული არ წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას. მოცემული შენობების ფუნქციის ცვლილებისთვის საჭიროა შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ცვლილება (კორექტირება).
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 29 სექტემბრის №7645363 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. შეთანხმდეს: ქ. თბილისში, სოფელ დიდ ლილოში არსებულ, №01.81.08.339.007 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე საწყობების (N1 და N2 შენობა) და სამაცივრე საწყობის (შენობა N3) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 29 სექტემბრის №7645363 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 29 სექტემბრის №7645363 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.